



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა  
უმადლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბიოლოგია  
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების განხორციელების თარიღი, 2,3,4 ივნისი, 2021

დასკვნის წარდგენის თარიღი, 25 ივნისი, 2021

თბილისი  
2021 წ

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ<sup>1</sup>

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი- საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ბიოლოგია
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი (მეექვსე დონე)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია <sup>2</sup>	მეცნიერების ბაკალავრი ბიოლოგიაში
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ბიოლოგია 0511
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებულია აკრედიტაციის საბჭოს 10/28/2011, №211 გადაწყვეტილებით

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ბესარიონ ლასარეიშვილი, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, საქართველო
--	---

<sup>1</sup> ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

<sup>2</sup> უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ინგა დიასამიძე, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლევან ციციშვილი, ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირმა ქურდაძე, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ აბულაძე, ა(ა)იპ - ნიუ ვიუენ უნივერსიტეტი, საქართველო

### აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნის პროექტი

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება 2007 წლიდან. უკანასკნელად საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია განხორციელდა 2011 წელს.

სწავლების ფორმა - დასწრებული სწავლება. პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი), ხოლო მოცულობა - 240 ECTS კრედიტი, რომელიც შემდეგნაირადაა გადანაწილებული: საფაკულტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები - 20 კრედიტი; საფაკულტეტო არჩევითი სასწავლო კურსები - 20 კრედიტი; სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები - 140 კრედიტი; სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები - 40 კრედიტი; თავისუფალი კომპონენტების სასწავლო კურსები - 20 კრედიტი.

პროგრამა ხორციელდება ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ადმინისტრირებით. მიმდინარე ეტაპზე, პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა შეადგენს 95 სტუდენტს, პროგრამას ემსახურება 62 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი, მათგან 50 აფილირებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. ბოლო 5 წლის განმავლობაში კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი შეადგენს 91 %, მათ შორის მიღებული კვალიფიკაციით 58%, ხოლო შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მაჩვენებელი 81%-ია.

აკრედიტებულ რეჟიმში პროგრამის განხორციელების პერიოდში პროგრამის მიმართ გამოიყენებოდა უნივერსიტეტში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, რაც უზრუნველყოფდა პროგრამის განვითარებაში და განახლებაში ყველა დაინტერესებული მხარის (განმახორციელებელი პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) ჩართვას.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება განხორციელდა „ჰიბრიდული“

მეთოდით. 2021 წლის 2,3,4 ივნისს ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი და ინტერვიუება განხორციელდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, ხოლო მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეფასება განხორციელდა 2021 წლის 4 ივნისს (სამუშაო დღის გარკვეულ მონაკვეთში).

- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა იმუშავა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგით, დისტანციური მუშაობის რეჟიმის შეფერხებების გარეშე.
- უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დათვალიერება და შეფასება განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტის საფუძველზე, რომლის ფარგლებში დაწესებულებამ ექსპერტებს აჩვენა და წარუდგინა პროგრამის განხორციელებისათვის გამოყენებული ყველა მნიშვნელოვანი სასწავლო სივრცე და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი.
- ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასებულია სტანდარტის ყველა კომპონენტი, ასევე აღნიშნულია წარმოდგენილი პროგრამის მნიშვნელოვანი მიღწევები და პროგრესია. დასკვნაში წარმოდგენილი რეკომენდაციები და რჩევები მიმართულია პროგრამის გაუმჯობესებისათვის, რაც წინასწარ გაეცნო დაწესებულებას ზოგადი მიგნებების სახით და დადებითად იქნა აღქმული დაწესებულების მიერ.

### **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

- ექსპერტთა ჯგუფის მუშაობისა და ჩატარებული შეფასების შედეგად აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით შეფასება შემდეგნაირია:

**სტანდარტი 1-მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

**სტანდარტი 2-მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

**სტანდარტი 3-- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

**სტანდარტი-4--შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

**სტანდარტი 5-შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

**რეკომენდაციები :**

#### **კომპონენტი 1.1**

- გადაიხედოს პროგრამის მიზნები, მოხდეს მათი დაზუსტდეს და დაკონკრეტება.

#### **კომპონენტი 1.2**

- გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგები, მოხდეს მათი ჩამოყალიბება დარგის სპეციფიკის შესაბამისად, იყოს რეალისტური და შესაბამისი მოცემული სწავლის საფეხურისთვის, ფორმულირდეს ისე, რომ **პროგრამის სწავლის შედეგები იყოს ადვილად გაზომვადი და შეფასებადი.**
- დაზუსტებული სწავლის შედეგების გათვალისწინებით კორექტირდეს **კურიკულუმის რუკა და შეფასების მექანიზმები**, რაც სამომავლოდ მნიშვნელოვანია პროგრამის სწავლის შედეგების ეფექტური შეფასებისთვის, საჭიროების შემთხვევაში მისი მოდიფიცირების საჭიროების დასადგენად.
- მიზანშეწონილია სილაბუსებში პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის სწავლის შედეგების მითითება მოხდეს იმ შემთხვევაში, როდესაც შესაძლებელი იქნება ამ უნარების გაზომვა, შესაბამისი აქტივობის განხორციელების გზით (პრაქტიკული

შინაარსის სილაბუსებთან დაკავშირებით პრაქტიკის ობიექტზე ხდება ამ უნარების გამომუშავება).

### კომპონენტი 2.3

- გადაიხედოს სილაბუსები და აღმოიფხვრას თემების დუბლირება, გასწორდეს პრერეკვიზიტები (კორექტირდეს ან ჩაემატოს), საჭიროების მიხედვით მიეთითოს ძირითადი ლიტერატურის უახლესი გამოცემები.
- გაიზარდოს ქიმიის კომპონენტი და შეიქმნას მინიმუმ 3 სასწავლო კურსი, რომლებშიც ასწავლიან შემდეგ თემებს: 1. ზოგადი და არაორგანულ ქიმიის (ნაწილობრივ არსებობს), 2. ფიზ-კოლოიდური ქიმიის საკითხებს, ანალიზური და ფიზიკური ქიმიის კვლევის მეთოდებით, 3. ორგანული ქიმიის თემებს.
- სასწავლო კურსებში გაძლიერდეს ლაბორატორიული მუშაობის კომპონენტი.
- დაინერგოს და გაძლიერდეს მიკრობიოლოგიის ლაბორატორიული სწავლება/კურსი, სადაც სტუდენტები თავისი ხელით შეასრულებენ ლაბორატორიულ სამუშაოებს.
- ზოგიერთ სილაბუსში დაემატოს ბიოლოგისთვის აუცილებელი თემები (მაგ. ჰისტოლოგია, ფარმაკოლოგია...).
- პროგრამაში შეტანილ იქნას უჯრედულ კულტურებზე და ლაბორატორიულ ცხოველებზე მუშაობის თეორიული და პრაქტიკული საკითხები.
- სტუდენტებისთვის პათოლოგიათა ბიოლოგიური საფუძვლების ძირითად კურსებად შეთავაზება.

### კომპონენტი 2.4

- შეიქმნას ლაბორატორიულ ცხოველთა მოვლისა და გამოყენების ინსტიტუციური ეთიკური საბჭო, რომელიც გასცემს დასკვნებს შიდასაუნივერსიტეტო იმ კვლევებზე ან სასწავლო კურსებზე, რომლებიც ლაბ ცხოველების გამოყენებას საჭიროებს.

### კომპონენტი 2.6

- იმ დისციპლინებში, სადაც არსებობს შესაძლებლობა, განვითარდეს პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასების მექანიზმები - დასკვნით გამოცდაზე მოხდეს შეძენილი პრაქტიკული უნარების საერთო შემაჯამებელი შეფასება.

### კომპონენტი 4.2

1. შემუშავდეს მექანიზმები, რომლითაც მოხდება პროფესორის და სხვა აკადემიური პერსონალის აკადემიური და საჯარო აქტივობების შესრულების წახალისება და რაოდენობრივი (ქულებით) შეფასება.
2. დიდი ყურადღება დაეთმოს და ქმედითი ნაბიჯები გადაიდგას პროგრამის განვითარებაში ჩართული პერსონალის გაახალგაზრდავებისთვის.

## რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

### კომპონენტი 1.1

- საბაკალავრო პროგრამის მიზანში, მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების მომიჯნავე სფეროებში, გასათვალისწინებელია ასევე ეკოლოგია, გარემოს დაცვა, ბუნებათსარგებლობა, ან სასურველია „და სხვა“- მითითება.

### კომპონენტი 1.2

- ვინაიდან, დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა, როგორც პროგრამის შემუშავების, ასევე მონიტორინგის პროცესში მნიშვნელოვანია, სასურველია თვითშეფასების ჯგუფში უფრო აქტიურად იყოს ჩართული სტუდენტი/ სტუდენტები, კურსდამთავრებული/ კურსდამთავრებულები და დამსაქმებელი/ დამსაქმებლები;

### 2.4 კომპონენტი

**გაიწეროს დეტალური ინსტრუქცია (SOP-ები) თუ როგორ იმუშავენ მიკრობიოლოგიის ლაბორატორიაში.** ასევე როგორ და რა მექანიზმებით მოხდება მიკრობული ნარჩენების გაუვნებელყოფა.

### კომპონენტი 2.6

- კურიკულუმის რუკაში დაზუსტდეს თუ რა სიძლიერით გადის თითოეულ შედეგზე თითოეული საგანი (A, B, C...).
- გაძლიერდეს სტუდენტების ტრანსფერული ცოდნის და უნარების შეფასება, რათა შეფასდეს რამდენად ეფექტურად შეუძლია სტუდენტს მიღებული ცოდნის პრობლემაზე ორიენტირება და მისი გადაჭრა.

### კომპონენტი 3.1

- ექსტრაკურიკულური აქტივობების მეტად გაუმჯობესება.
- უფრო მეტად განვითარდეს მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობს სტუდენტების დამსაქმებლებთან ურთიერთობას და დასაქმების პროცესს.
- სტუდენტებთან გასაუბრების პროცესში, გამოიკვეთა დამატებითი ტრენინგების საჭიროების სასურველობა, კერძოდ ტექნიკური უნარების დეფიციტი, საბიბლიოთეკო და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ლიტერატურის მოძიების კუთხით.

### კომპონენტი 5.2

- სასურველია, კურსებისა და პროგრამის განვითარებისათვის ევროპელი ექსპერტებისგან მიღებული უკუკავშირებს ქონდეს რეგულარული ხასიათი.

### კომპონენტი 5.3

- მემორანდუმების გამრავალფეროვნება და სხვადასხვა პროფილის დამსაქმებელთან ურთიერთობების განვითარება.

## საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

### კომპონენტი 2.4

- ფაკულტეტზე რეგულარულად ეწყობა ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა კონფერენციები
- კათედრები მზად არიან კვლევებში ჩართონ დაინტერესებული სტუდენტები და ხელი შეუწყონ მათი სამეცნიერო-კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარებას
- ადმინისტრაცია რეგულარულად აცხადებს სტუდენტური კვლევების გრანტებს, რითაც ხელს უწყობს სადიპლომო ნაშრომების შესრულებას და პრაქტიკული უნარების და გამოცდილების გამომუშავებას.

### კომპონენტი 4.2

- მაღალი კვალიფიკაციის და დიდი გამოცდილების პედაგოგიური კადრი
- ზოგიერთ საგნის ცალკეულ თემების წაკითხვაში უცხოელი პროფესორების მონაწილეობა
- ზოგიერთი პროფესორის აქტიური თანამშრომლობა საერთაშორისო აკადემიურ და სამეცნიერო მიმართულებებით უცხოეთის მოწინავე უნივერსიტეტებში
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ აკადემიურ პერსონალისათვის იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში პუბლიკაციის გამოქვეყნების ხარჯების დაფინანსება და ამავე დროს, აკადემიურ პერსონალის ფინანსური წახალისება/პუბლიკაციის გამოქვეყნებისთვის
- ადმინისტრაციის მიერ საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის ხარჯების დაფარვა.

### კომპონენტი 5.2

- სტუდენტებს გააჩნიათ მაღალ სტანდარტების დონეზე აგებულ კამპუსში ცხოვრების შესაძლებლობა, სადაც მიზერული თანხის გადახდით (მხოლოდ კომუნალური მომსახურებისათვის) აქვთ კარგი პირობები სწავლისა და განვითარებისათვის. ასეთი მიდგომა ხელს უწყობს სტუდენტების კმაყოფილების ზრდას და აძლევს რეგიონიდან ჩამოსულ სტუდენტებს კარგ შესაძლებლობებს, ისწავლონ და მიიღონ მაღალი სტანდარტების განათლება - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

### კომპონენტი 5.3

- სტუდენტებისათვის შიდა საგრანტო პროექტების შეთავაზება, რაც სტუდენტების მოტივაციის ამაღლების საშუალებაა-კვლევით პროექტებში ჩართვის მიმართებით.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მნიშვნელოვნად შეიცვალა საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა: გაიზარდა სპეციალობის სავალდებულო და არჩევითი საგნების ჯამური კრედიტები დამატებითი სპეციალობის კრედიტების ხარჯზე. • „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებაში შეტანილი იმ ცვლილებების გათვალისწინებით, რომელიც ძალაში შევიდა 2016 წლის პირველი სექტემბრიდან, პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლა-სწავლების მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები, აგრეთვე სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა მოყვანილ იქნა შესაბამისობაში ზემოაღნიშნულ ცვლილებებთან; • შეიცვალა პროგრამისა და სილაბუსების სწავლის შედეგები კვალიფიკაციების განახლებულ ეროვნულ ჩარჩოსთან (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით) თავსებადობის მიზნით; • შემუშავდა სილაბუსი საბაკალავრო ნაშრომისათვის; • პერმანენტულად ხორციელდება სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო მასალის განახლება.



## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

#### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წარმოადგენს უნივერსიტეტის მრავალწლიანი, უდიდესი ტრადიციის გაგრძელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მისცეს სტუდენტს თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ბიოლოგიის საბაზისო დარგებში, კერძოდ უჯრედისა და განვითარების ბიოლოგიაში, ნეირობიოლოგიაში, ბიოქიმიაში, მიკრობიოლოგიასა და ვირუსოლოგიაში, იმუნოლოგიაში, ბიომრავალფეროვნებაში, უჯრედულ და მოლეკულურ ბიოლოგიაში, მცენარეთა ბიოლოგიაში და გენეტიკაში და სხვ.

მომზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომელსაც ექნება მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ბიოლოგიაში, შესაბამისი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციებით. ყოველივე, კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, სწავლა გააგრძელოს შემდგომ საფეხურზე-მაგისტრატურაში.

ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრებებით დასტურდება, რომ პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პერსონალის მიერ.

პროგრამის მიზნებს გარკვეულწილად ესაჭიროება დაკორექტირება და დაზუსტება. პროგრამის მიზნები უნდა ასახავდეს იმ ცოდნის და პრაქტიკული უნარების ზოგად ასპექტებს, რაც არის განსაზღვრული პროგრამის კურსდამთავრებულთათვის.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის აღწერილობა და სილაბუსები
- თსუ-ს მისია;
- თვითშეფასების ანგარიში;

<ul style="list-style-type: none"> <li>○ ინტერვიუს შედეგები</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ გადაიხედოს პროგრამის მიზნები, მოხდეს მათი დაზუსტდეს და დაკონკრეტება.</li> </ul>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ პროგრამის მიზანში, მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების მომიჯნავე სფეროებში, გასათვალისწინებელია ასევე ეკოლოგია, გარემოს დაცვა, ბუნებათსარგებლობა, ან სასურველია „და სხვა“- მითითება.</li> </ul>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p>
<p><b>შეფასება</b></p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><b>X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</b></p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p><b>1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;</li> <li>➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;</li> <li>➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.</li> </ul>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>პროგრამა სწორედაა სასწავლო კომპონენტებით დაბალანსებული. პროგრამა შედგება მრავალფეროვანი მაპროფილებელი კურსებისგან, რომლებსაც სტუდენტი გაყავს იმ შედეგებზე, რაც ბიოლოგს უნდა გააჩნდეს.</p> <p>წარმოდგენილ განახლებულ პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც ერთობლივი მუშაობის შედეგად შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და პროგრამაზე მომუშავე გგუფის მიერ. შესაბამისად, ჩამოყალიბებულია პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე</p>

ნიშნულები და შეფასების გეგმა, რაც მოიცავს შეფასების პირდაპირ და არაპირდაპირ მეთოდებს. შეფასების პირდაპირი მეთოდი ითვალისწინებს მონაცემების შეგროვებას სამიზნე ნიშნულების და ინდიკატორების გამოყენებით, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმით განსაზღვრული პერიოდულობით. თუმცა, წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგების რუკა არ იძლევა ნათელ სურათს; მაგალითად სასწავლო კურსები: ქიმია, ფიზიკა, ადამიანის ანატომია, ბოტანიკა და სხვ. არ ავითარებს უნარს-2.1 თანამედროვე ლაბორატორიული აღჭურვილობის გამოყენება უსაფრთხოების წესების დაცვით; და 3.1 მარტივი ბიოლოგიური ექსპერიმენტების დამოუკიდებლად ჩატარება და მოსალოდნელი შედეგის პროგნოზირება; მაგრამ იღებს პასუხისმგებლობას 3.3 სამეცნიერო ეთიკისა და ლაბორატორიული უსაფრთხოების წესებზე მსჯელობა-ზე. ასევე სასწავლო კურსების უმრავლესობას (სილაბუსებშიც) მითითებული აქვთ სწავლის შედეგი-პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა, რისი შეფასებაც არარეალურია თეორიული კურსებისთვის.

პროგრამის შედეგები ისე უნდა იყოს გაწერილი, ჩამოყალიბებული და ფორმულირებული, რომ შესაძლებელი იყოს სტუდენტების სწავლის პროცესში მათი მიღწევის გაზომვა და შეფასება.

გამომდინარე აქედან ვიძლევიტ რეკომენდაციას, რომ გადახედილ იქნას პროგრამის ცალკეული სწავლის შედეგი, მოხდეს მათი კონკრეტიზება და ფორმულირება ისეთი ფორმით, რაც მათი მიღწევის შეფასების საშუალებას მისცემს პროგრამის აკადემიურ პერსონალს. დასახვეწია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებიც. მიზანშეწონილია, რომ პროგრამის ცალკეული შედეგების ერთიანი, ჯამური შეფასება კონკრეტულ მაპროფილებელ სასწავლო კურსებში მოხდეს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობა;
- პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგი.

**რეკომენდაციები:**

- გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგები, მოხდეს მათი ჩამოყალიბება დარგის სპეციფიკის შესაბამისად, იყოს რეალისტური და შესაბამისი მოცემული სწავლის საფეხურისთვის, ფორმულირდეს ისე, რომ პროგრამის სწავლის შედეგები იყოს ადვილად გაზომვადი და შეფასებადი.
- დაზუსტებული სწავლის შედეგების გათვალისწინებით კორექტირდეს კურიკულუმის რუკა და შეფასების მექანიზმები, რაც სამომავლოდ მნიშვნელოვანია პროგრამის სწავლის შედეგების ეფექტური შეფასებისთვის, საჭიროების შემთხვევაში მისი მოდიფიცირების საჭიროების დასადგენად.
- მიზანშეწონილია სილაბუსებში პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის სწავლის შედეგების მითითება მოხდეს იმ შემთხვევაში, როდესაც შესაძლებელი იქნება ამ უნარების გაზომვა, შესაბამისი აქტივობის განხორციელების გზით (პრაქტიკული

შინაარსის სილაბუსებთან დაკავშირებით პრაქტიკის ობიექტზე ხდება ამ უნარების გამომუშავება).

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- ვინაიდან, დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა, როგორც პროგრამის შემუშავების, ასევე მონიტორინგის პროცესში მნიშვნელოვანია, სასურველია თვითშეფასების ჯგუფში უფრო აქტიურად იყოს ჩართული სტუდენტი/სტუდენტები, კურსდამთავრებული/ კურსდამთავრებულები და დამსაქმებელი/დამსაქმებლები;

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე;

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მოხილობა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით;

ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, არის სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი. სათანადო ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის, ფაკულტეტის ვებ-გვერდზე.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების დოკუმენტი
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

#### რეკომენდაციები:

<b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b>
<b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b>
<b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b>
<p><b>შეფასება</b></p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><b>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</b></p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<b>2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი</b>
<p>პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.</p>
<b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b>
<p>საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია უნივერსიტეტში მოქმედი დებულების (უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 8 დეკემბრის №153/2017 დადგენილებით. პროგრამის შინაარსი და მოცულობა შეესაბამება საბაკალავრო საფეხურის მოთხოვნებს. პროგრამა იყენებს ECTS საკრედიტო სისტემას.</p> <p>პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობდა პროგრამაში მონაწილე აკადემიური პერსონალი, ფაკულტეტისა და საუნივერსიტეტო სწავლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები, ასევე კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. შეთანხმებული პროგრამა განსახილველად გადაეცა დარგობრივ კომიტეტს, რომლის შემადგენლობაც დამტკიცდა აკადემიური საბჭოს მიერ (უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება №76/2018 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა</p>

ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ). ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უზრუნველყო წარდგენილი პროგრამის შესაბამისობის დადგენა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და უნივერსიტეტში მოქმედ რეგულაციებთან უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ბრძანებით დამტკიცებული კრიტერიუმების/ ინდიკატორების შესაბამისად, რის შემდეგაც გაეგზავნა ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად, ხოლო ფაკულტეტის საბჭოზე დამტკიცებული პროგრამა გადაეგზავნა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელმაც პროგრამა დასამტკიცებლად წარუდგინა აკადემიურ საბჭოს.

- პროგრამის მოცულობაა 240 კრედიტი, მათ შორის:
- საფაკულტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები - 20 კრედიტი
- საფაკულტეტო არჩევითი სასწავლო კურსები - 20 კრედიტი
- სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები - 140 კრედიტი
- სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები - 40 კრედიტი
- თავისუფალი კომპონენტების სასწავლო კურსები – 20 კრედიტი

პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს იმ შედეგების, ცოდნის და უნარების გამომუშავებას, რაც ბიოლოგს უნდა გააჩნდეს. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის დადგენილება N100/2019 („სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურის დამტკიცების შესახებ“):  
[https://tsu.ge/ge/juridical/axad\\_council\\_resolutions/2019/1002019//](https://tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2019/1002019//);
- უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება №76/2018 („ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“): [https://www.tsu.ge/ge/juridical/axad\\_council\\_resolutions/2018acad/762018//](https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2018acad/762018//);
- ინტერვიუს შედეგები

<b>რეკომენდაციები:</b>
<b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b>
<b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b>
<b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b>
<p><b>შეფასება</b></p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p><b>2.3. სასწავლო კურსი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;</li> <li>➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.</li> </ul>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის ძირითად შედეგებს. პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების რუკა, სადაც წარმოდგენილია სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობა. თუმცა აღნიშნული რუკით სასწავლო კურსების უმრავლესობა გადის პროგრამის სწავლის ყველა შედეგზე, რაც უდაოდ გასაუმჯობესებელია.</p> <p>პროგრამის სასწავლო კურსებისათვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა, ასევე განსაზღვრული სწავლების ფორმატი (ლექცია, პრაქტიკული, სემინარი, ლაბორატორია და სხვა), უმეტესწილად შეესაბამება კურსების შინაარსსა და შედეგებს. საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა განსაზღვრულია კურსის სპეციფიკისა და მისი სწავლის შედეგების გათვალისწინებით;</p> <p>სილაბუსებში სასწავლო მასალა პრაქტიკულად შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს, ითვალისწინებს ინფორმაციული სისტემების აქტუალურ მიღწევებს და უზრუნველყოფს</p>



თანამედროვე მოთხოვნებთან საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობას.

პროგრამის სასწავლო კურსების სწავლის შედეგები არსებითად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსების შინაარსი შეესაბამება კურსის კრედიტებს (გამონაკლისია ქიმია). შედეგებში გამოყენებული დესკრიპტორები შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს საბაკალავრო დონეს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებელია პროგრამის და საგნების სწავლის შედეგების დახვეწა და სწორი ფორმულირება.

სტუდენტებთან ვიზიტის დროს მათი მხრიდან გამოითქვა სურვილი, რომ სასწავლო კურსებში გაიზარდოს ლაბორატორიული მეცადინეობების წილი.

ცალკეულ სასწავლო კურსებთან მიმართებით გვაქვს გარკვეული ტიპის შენიშვნები.

- **თემების დუბლირება:** პროგრამაში წარმოდგენილი 2 ქიმიის კურსი - ქიმიის შესავალი და ქიმია არსებითად მსგავსი თემებისგან შედგება. ორივე მათგანში შეკუმშულად ისწავლება ზოგადი ქიმიის და ორგანული ქიმიის თემები, რომელთა შინაარსები დუბლირებულია. აუცილებელია ეს გადაფარვა აღმოიფხვრას. ერთ კურსში უნდა დარჩეს და გაფართოვდეს ზოგადი და არაორგანული ქიმიის თემები, ხოლო მეორეში დარჩეს და გაფართოვდეს ორგანული ქიმიის თემები;
- **ქიმიების სწავლების მოცულობის გაზრდა.** ბიოლოგებს ესაჭიროებათ რა ღრმა თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ქიმიაში, აუცილებელია დაემატოს მესამე ქიმიური დისციპლინა, რომელშიც გაშუქებული იქნება ფიზიკური, კოლოიდური და ანალიზური ქიმიის თემატიკები და დიდი მოცულობით იქნება წარმოდგენილი ლაბორატორიაში მუშაობის კომპონენტი, რაც ბიოლოგების ლაბორატორიული მუშაობის უნარების გამოსამუშავებლად უაღრესად მნიშველოვანია. გამომდინარე აქედან, ვიძლევიტ რეკომენდაციას, რომ ბიოლოგიის პროგრამაში შედიოდეს მინიმუმ 3 განსხვავებული შინაარსის ქიმიის სასწავლო კურსი, რომლებიც ცალ-ცალკე მოიცავს 1. ზოგადი და არაორგანული ქიმიის თემებს, 2. ორგანული ქიმიის თემებს, 3. ანალიზური, ფიზიკური და კოლოიდური ქიმიის აქტუალურ საკითხებს, მეთოდებს და მათ გამოყენებას ლაბორატორიულ პრაქტიკაში.
- ბიოლოგების პროფესიული საქმიანობაში დიდი ადგილი უკავია ლაბორატორიულ მუშაობას **უჯრედულ კულტურებზე, სეროლოგიურ კვლევას, მანიპულაციებს და ახალი პროდუქციის გამოცდას ლაბორატორიულ ცხოველებზე.** ეს თემები პრაქტიკულად არც ერთ სასწავლო კურსში არაა ჩასმული. ამიტომ ვიძლევიტ რეკომენდაციას, რომ შემდეგი თემები: უჯრედულ კულტურებზე მუშაობის, ცხოველურ მოდელებზე მუშაობის მეთოდები ჩაისვას კურიკულუმში.
- **პრერეკვიზიტების კორექცია.** ზოგიერთ საგანში პრერეკვიზიტები მათ სილაბუსში გაშუქებული თემების შესაბამისად არ არის განსაზღვრული. უმრავლეს სპეციალობის კურსებს წინაპირობად მხოლოდ ბიოლოგიის შესავალი აქვს განსაზღვრული, რაც საკმარისი არ არის შესაბამისი საგნების გაიოლებული და ეფექტური ათვისებისთვის. საგნები, რომელთაც მხოლოდ ბიოლოგიის შესავალი აქვს წინაპირობად დადებული და საჭიროებს სხვა უფრო მაღალი საფეხურის საგნის პრერეკვიზიტად ჩასმას

(გამომდინარე მათ სილაბუსებში განხილული თემატიკებიდან), შემდეგია: მოლეკულური ბიოლოგიის საფუძვლები (საჭიროა პრერეკვიზიტი იყოს ბიოქიმია 1, და/ან გენეტიკა), მცენარეთა ფიზიოლოგია (საჭიროა პრერეკვიზიტი იყოს ბიოქიმია და/ან ციტოლოგია), იმუნოლოგია (საჭიროა პრერეკვიზიტი იყოს ციტოლოგია, ბიოქიმია, ან/და მოლეკულური ბიოლოგია ან/და გენეტიკა), შემდეგ საგნებს ესაჭიროება წინაპირობების კორექცია: მიკრობიოლოგია (საჭიროა პრერეკვიზიტი იყოს ბიოქიმია, გენეტიკა), ვირუსოლოგია (საჭიროა პრერეკვიზიტი იყოს ბიოქიმია, მოლეკულური ბიოლოგია ან გენეტიკა). ასევე არჩევით კურსებშიც აუცილებელია პრერეკვიზიტების გადახედვა, კერძოდ, იმუნოჰემატოლოგია (არ უდევს წინაპირობა, საჭიროა პრერეკვიზიტი იყოს იმუნოლოგია, პათოლოგიების ბიოლოგიური საფუძვლები), ეკოლოგიური გენეტიკა (არ უდევს წინაპირობა, საჭიროა პრერეკვიზიტი იყოს გენეტიკა), მიკრობთა სამყარო (წინაპირობაა ციტოლოგია და ბიოქიმია, საჭიროა იყოს მიკრობიოლოგია და ვირუსოლოგია), სიმსივნეების ბიოლოგია (წინაპირობაა ბიოლოგიის შესავალი, საჭიროა იყოს მოლეკულური ბიოლოგია, ციტოლოგია ან/და ჰისტოლოგია), სამედიცინო გენეტიკის საფუძვლები (წინაპირობა არ უდევს, საჭიროა იყოს გენეტიკა), ფიტოპათოლოგია და მცენარეთა დაცვა (წინაპირობაა ბიოლოგიის შესავალი, საჭიროა იყოს მიკრობიოლოგია, მცენარეთა ფიზიოლოგია); გენმოდულირებული ორგანიზმების ბიოტექნოლოგია და ბიოუსაფრთხოება (წინაპირობა არ უდევს, საჭიროა მიკრობიოლოგია ან/და ვირუსოლოგია), პათოლოგიის ბიოქიმიურ საფუძვლები (წინაპირობებში დაემატოს პათოლოგიების ბიოლოგიური საფუძვლები).

- **სილაბუსში ძირითადი ლიტერატურის წყაროების განახლება.** ზოგიერთ სილაბუსში ძირითად ლიტერატურაში მითითებულია შედარებით მოძველებული წყაროები, მაშინ როდესაც იმავე ავტორების უფრო ახალი გამოცემები არსებობს. ამავე დროს, ბიბლიოთეკაში და კათედრებზე ვიზიტების დროს ვნახეთ, რომ ლექტორებს აქვთ შესაბამისი სახელმძღვანელოების უახლეს გამოცემებზე წვდომა. გამომდინარე აქედან, ვიძლევიტ რეკომენდაციას, რომ გადახედოთ იქნას სილაბუსებში რეკომენდებული ლიტერატურა და სადაც საჭიროა განახლდეს უახლესი გამოცემებით.
- **ჰისტოლოგიის საგანში** ძირითადად შედის ზოგადი ჰისტოლოგიის თემატიკები, ორგანოთა სისტემების ჰისტოლოგიის საკითხები პრაქტიკულად არაა გაშუქებული. აუცილებელია, რომ სასწავლო კურსში შეტანილ იქნას **(თუნდაც შეკუმშული სახით)** კერძო ჰისტოლოგიის თემები.
- **ფარმაკოლოგიის კურსის სილაბუსში** საჭიროა შინაარსობრივი და ტექნიკური კორექტივების შეტანა. სილაბუსში ასახული თემები რედაქტირდეს საგნის შინაარსთან შესაბამისობაში. გაფართოვდეს ფარმაკოლოგიის ზოგადი ნაწილი. მეტი დრო დაეთმოს ფარმაკოკინეტიკის და ფარმაკოდინამიკის საკითხების გაშუქებას. ჩაისვას თემები, თუ როგორ ხდება ახალიშექმნილი (გამოსაცდელი) პრეპარატის პრე-კლინიკური და კლინიკური გამოცდების განხორციელება და ორგანიზება. სილაბუსის პრაქტიკული თემების ცხრილში ჩასმულია ანატომიის სასწავლო კურსის თემები (ალბათ მექანიკური შეცდომია). გასწორდეს აღნიშნული ხარვეზი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- საგანმანათლებლო პროგრამის კურსკულუმის რუკა
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: [www.tsu.ge](http://www.tsu.ge)
- ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

- გადაიხედოს სილაბუსები და აღმოიფხვრას თემების დუბლირება, გასწორდეს პრერეკვიზიტები (კორექტირდეს ან ჩაემატოს), საჭიროების მიხედვით მიეთითოს ძირითადი ლიტერატურის უახლესი გამოცემები.
- გაიზარდოს ქიმიის კომპონენტი და შეიქმნას მინიმუმ 3 სასწავლო კურსი, რომლებშიც ასწავლიან შემდეგ თემებს: 1. ზოგადი და არაორგანულ ქიმიის (ნაწილობრივ არსებობს), 2. ფიზ-კოლოიდური ქიმიის საკითხებს, ანალიზური და ფიზიკური ქიმიის კვლევის მეთოდებს, 3. ორგანული ქიმიის თემებს.
- სასწავლო კურსებში გაძლიერდეს ლაბორატორიული მუშაობის კომპონენტი
- დაინერგოს და გაძლიერდეს მიკრობიოლოგიის ლაბორატორიული სწავლება, სადაც სტუდენტების თავისი ხელით შეასრულებენ სამუშაოებს
- ზოგიერთ სილაბუსში დაემატოს ან კორექტირდეს აუცილებელი თემები (მაგ. ჰისტოლოგია, ფარმაკოლოგია...)
- პროგრამაში შეტანილ იქნას უჯრედულ კულტურებზე და ლაბორატორიულ ცხოველებზე მუშაობის მეთოდები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სტუდენტებისთვის პათოლოგიათა ბიოლოგიური საფუძვლების და ასევე გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ბიოტექნოლოგიის და ბიოუსაფრთხოების სასწავლო კურსის არჩევითი კურსებად შეთავაზება.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პროგრამის ფარგლებში ისწავლება მრავალფეროვანი კურსები, რომლებიც ძალზედ აქტუალურია.

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

## შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა, მისი კომპონენტები უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას. რაც მოცემულია სასწავლო კურსების სილაბუსებში, პროგრამის კურიკულუმის რუკაში. პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას სხვადასხვა პროექტებში, მათ მონაწილეობას კათედრებთან/სამეცნიერო ცენტრებთან არსებულ სტუდენტურ სამეცნიერო წრეებში და სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში; ამ მიზნით, ფაკულტეტზე ყოველ სემესტრში ტარდება სტუდენტთა საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენცია. რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სტუდენტების მიერ პრაქტიკული და ტრანსფერული უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და განვითარებას სტაჟირების განხორციელებით.

სტუდენტთა ტრანსფერული უნარების განვითარებაზეა მიმართული კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივები, რომლებიც ვლინდება სტუდენტთა მონაწილეობით განხორციელებულ კულტურული, ინტელექტუალური, სპორტული და საქველმოქმედო ღონისძიებების მხარდაჭერაში. უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტური სამეცნიერო პროექტების მხარდაჭერის ტრადიცია, რაც მდგომარეობს იმაში, რომ სტუდენტურ ინიციატივას, მათ პროექტებს აფასებს საუნივერსიტეტოს კომისია, რომლის შემადგენლობაშია სხვადასხვა ფაკულტეტების, დეპარტამენტების წარმომადგენლები, სტუდაქტივი და ინოვაციის დანერგვის ცენტრის წარმომადგენლები.

კომისიის მიერ გამჭვირვალედ და წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმებით განიხილება ყველა პროექტი, თუ საპროექტო განაცხადი.

კომისია აფასებს ნაშრომს, წარუდგენს ავტორს. გამარჯვებული პროექტი ფინანსდება საუნივერსიტეტო ბიუჯეტიდან.

ბიოლოგიის დეპარტამენტში ტრადიციულად ყოველწლიურად იმართება სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები, სადაც მაგისტრებთან ერთად მონაწილეობას ღებულობენ ასევე ბაკალავრიატის პროგრამის სტუდენტებიც. ასეთი კონფერენციებია:

1. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტების სტუდენტთა და სკოლის მოსწავლეთა სამეცნიერო სიმპოზიუმი (2006 წლიდან)
2. ნეირობიოლოგიის აქტიუალური საკითხები - (2010 წლიდან)
3. აკად. პ. ქომეთიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია ბიოქიმიაში (2009 წლიდან) ბაკალავრიატის სტუდენტები

ბიოლოგიის პროგრამას ესაჭიროება მიკრობიოლოგიის საფუძვლიანი ლაბორატორიული კურსის არსებობა, რადგანაც მიკრობიოლოგიური ლაბორატორიული სამუშაო ფართოდ მოთხოვნილია ბიოლოგიის და ბიომედიცინის მრავალ მიმართულებაში. აუცილებელია შეიქმნას მიკრობიოლოგიის ძლიერი სასწავლო კურსი.

მიკრობიოლოგიის სასწავლო ლაბორატორიული კურსის ჩამოყალიბების შემდეგ სასურველია შეიქმნას სტანდარტული ოპერაციული პროცედურების პროტოკოლი, რაც სტუდენტებს, მაგისტრებს თუ დოქტორანტებს გამოადგებათ მიკრობიოლოგიის ლაბორატორიული კომპონენტის თუ მიკრობიოლოგიის პრაქტიკის გავლისას. ვინაიდან მიკრობიოლოგიის და ასევე სხვა ტიპის ლაბორატორიაში სტუდენტებს შეიძლება შეხება ქონდეთ პოტენციურ პათოგენებთან (პირობით-პათოგენურ ბაქტერიებთან და სხვ.), აუცილებელია დაწესებულებას გაწერილი ქონდეს SOP და აღწერილი ქონდეს ნარჩენების (მიკრობიოლოგიური, ცხოველური, ადამიანის ბიოლოგიური მასალის და სხვ.) გაუვნებლობის პროცედურები და წესები.

ვინაიდან პროგრამის ფარგლებში ზოგიერთი სტუდენტი სამეცნიერო ექსპერიმენტული კვლევას ასრულებს ლაბ ცხოველებზე, სასურველია, რომ უნივერსიტეტში შეიქმნას ლაბორატორიული ცხოველების მოვლისა და გამოყენების ინსტიტუციური ბიოეთიკის საუნივერსიტეტო კომიტეტი/ საბჭო, რომელიც გაეცნობა წარმოდგენილ საპროექტი კვლევით წინადადებებს, შესაბამის სამუშაოს ეთიკურ შეფასებას გააკეთებს და კვლევაზე ნებართვას გასცემს (რაც ასევე მნიშვნელოვანია პუბლიკაციის რეიტინგულ ჟურნალში დასაბეჭდათ).

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 1);
- პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები (დანართი 1);
- ინფორმაცია სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში პროგრამის სტუდენტთა მონაწილეობის თაობაზე უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

- ინტერვიუები

**რეკომენდაციები:**

1. შეიქმნას ლაბორატორიულ ცხოველთა მოვლისა და გამოყენების ინსტიტუციური ეთიკური საბჭო, რომელიც გასცემს დასკვნებს შიდასაუნივერსიტეტო იმ კვლევებზე ან სასწავლო კურსებზე, რომლებიც ლაბ ცხოველების გამოყენებას საჭიროებს.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. გაიწეროს დეტალური ინსტრუქცია (SOP-ები) თუ როგორ იმუშავებენ მიკრობიოლოგიის ლაბორატორიაში. ასევე როგორ და რა მექანიზმებით მოხდება მიკრობული ნარჩენების გაუვნებელყოფა.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- ფაკულტეტზე რეგულარულად ეწყოფა ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა კონფერენციები
- კათედრები მზად არიან კვლევებში ჩართონ დაინტერესებული სტუდენტები და ხელი შეუწყონ მათი სამეცნიერო-კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარებას
- ადმინისტრაცია რეგულარულად აცხადებს სტუდენტური კვლევების გრანტებს, რითაც ხელს უწყობს სადიპლომო ნაშრომების შესრულებას და პრაქტიკული უნარების და გამოცდილების გამომუშავებას.

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები**

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების

გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

### **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში, გამოიყენება სწავლების/სწავლის მეთოდები და აქტივობები, რომლებიც განაპირობებენ ამ კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო მათი ერთობლიობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს და ასევე კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებულია სწავლების შემდეგი მეთოდები: ლექცია, სემინარი, ლაბორატორიული და პრაქტიკული მუშაობა; სასწავლო და პროფესიული პრაქტიკა; ელექტრონული სწავლება /დასწრებული/; ასევე სწავლებასწავლის მეთოდების შესაბამისი აქტივობები: ვერბალური მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, პრაქტიკული მეთოდი, კვლევის სავლე და ლაბორატორიული მეთოდები, დისკუსია, წერითი მუშაობა, ინდუქციური და დედუქციური მეთოდები, ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობის მეთოდები, ანალიზის მეთოდი, პრეზენტაცია. ასევე გათვალისწინებულია ის გარემოებაც, რომ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგეს ინდივიდუალური პროგრამაც.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებული სწავლების/სწავლის მეთოდები/აქტივობები კომპონენტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ლექტორის მიერ აისახება შესაბამის სილაბუსში.

### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რუკა;
- უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება №68/2018 - ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ;
- უნივერსიტეტის აკადემიურისაბჭოს დადგენილება №71/2018 - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტთა საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ.
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p><b>შეფასება</b></p> <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><b>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</b></p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<b>2.6. სტუდენტების შეფასება</b>
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, რაც ასახულია უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში. შეფასების პროცედურები არის სამართლიანი და გამჭვირვალე და შესაბამისობაშია საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან. საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა ასახულია პროგრამის აღწერით ნაწილში, ხოლო შეფასების კონკრეტული კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას, შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს და განსაზღვრულია შესაბამისი სილაბუსით.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტში სტუდენტის მიერ კრედიტის ათვისება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება შეფასების სისტემით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით. სტუდენტებისათვის წინასწარ არის ცნობილი შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები. შეფასების პროცესით</p>



უზრუნველყოფილია სტუდენტის ინფორმირება შეფასების შედეგების, საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეების თაობაზე. შეფასების წესით გათვალისწინებულია სტუდენტის მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობა.

ინდივიდუალური სწავლის შედეგის მიღწევის დონეზე სტუდენტს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია სასწავლო პროცესის მართვის სისტემის (sms.tsu.ge, lms.tsu.ge) და ელექტრონული სწავლების პორტალის (e-learning.tsu.ge) საშუალებით.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით

გაანგარიშების წესის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად. შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას და მათი ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერილითი გამოცდა, ზეპირი/წერილითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.).

სტუდენტის შეფასება ითვალისწინებს: ლაბორატორიულებზე, პრაქტიკულებზე და სემინარებზე სტუდენტთა აქტივობის შეფასებას; შუა სემესტრულ შეფასებას; სემესტრის დასკვნითი გამოცდის შეფასებას; პრეზენტაციის შეფასებას; პრაქტიკის ანგარიშის შეფასებას; საბაკალავრო ნაშრომის შეფასებას. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში. შეფასების სისტემა ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ფრიადი - 91-100 ქულა;
- ძალიან კარგი - 81-90 ქულა;
- კარგი - 71-80 ქულა;
- დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; (E) საკმარისი - 51-60 ქულა. ორი სახის უარყოფითი შეფასებას:
- (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი თავიდან აქვს შესასწავლი.
- საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.
- დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების

შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

საბაკალავრო ნაშრომის შეფასება:

- სამეცნიერო ხელმძღვანელი - 40 ქულა საჯარო დაცვა/დაცვის კომისიის შეფასება - 60 ქულა შეფასების სისტემა უშვებს:
- ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას: (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი;
- ძალიან კარგი - 81-90 ქულა;
- კარგი - 71-80 ქულა;
- დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა;
- საკმარისი - 51-60 ქულა;
- ჩაიჭრა - 50 ქულა და ნაკლები
- ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:
- (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში.
- (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და სტუდენტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.
- საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები დეტალურად არის გაწერილი სილაბუსში.

საბაკალავრო ნაშრომის გაფორმების ინსტრუქცია განთავსებულია ფაკულტეტის ვებ გვერდზე. სტუდენტებთან გასაუბრების დროს მათი მხრიდან გამოითქვა სურვილი, რომ კარგი იქნება თუ მოხდება არა მხოლოდ აღწერილობითი ცოდნის შეფასება, არამედ მათი ანალიტიკური და ტრანსფერული უნარების შეფასებაც, რაც სწავლას მეტ ინტერესს, და ეფექტურობას შესძენს.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 1);
- პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები (დანართი 1);
- ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებ გვერდი.
- ინტერვიუები

#### რეკომენდაციები:

იმ დისციპლინებში, სადაც არსებობს შესაძლებლობა, განვითარდეს პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასების მექანიზმები - დასკვნით გამოცდაზე მოხდეს შექმნილი პრაქტიკული უნარების საერთო შემაჯამებელი შეფასება.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

კურიკულუმის რუკაში დაზუსტდეს თუ რა სიძლიერით გადის თითოეულ შედეგზე თითოეული საგანი (A, B, C...).

გამლიერდეს სტუდენტების ტრანსფერული ცოდნის და უნარების შეფასება, რათა შეფასდეს რამდენად ეფექტურად შეუძლია სტუდენტს მიღებული ცოდნის პრობლემაზე ორიენტირება და მისი გადაჭრა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

ორ საგანში (მაგ. ციტოლოგია, ჰისტოლოგია) ტარდება პრაქტიკული გამოცდები

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

**3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას,

ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

### 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტსა და ჩარიცხულ სტუდენტებს შორის ფორმდება ხელშეკრულება, სადაც დეტალურადაა აღწერილი პირობები და ორივე მხარის ვალდებულებები.

ჩარიცხულ პირველ კურსელებს 1 კვირის განმავლობაში უტარდებათ კონსულტაციები, როდესაც სხვადასხვა დეპარტამენტები ხვდებიან სტუდენტებს და წარუდგენენ საუნივერსიტეტო სერვისებს. პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტებისთვის იმართება საინფორმაციო შეხვედრები, სასწავლო გარემოსა და პროცესთან დაკავშირებით. სტუდენტებს სწავლის პროცესში საშუალება აქვთ დამატებითი კონსულტაციები გაიარონ პროგრამის ან კურსის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტთან და სხვა ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

პროცესის ადმინისტრირების, სწავლა-სწავლებისა თუ კვლევის პროცესების გასაუმჯობესებლად თსუ-ში მიმდინარეობს სტუდენტთა ანონიმური ყოველ სემესტრული გამოკითხვა. გამოკითხვის შედეგებით ფასდება საუნივერსიტეტო სერვისებისა და სასწავლო პროცესის პოზიტიური და გასაუმჯობესებელი მხარეები.

უნივერსიტეტში არსებული კარიერული განვითარების ცენტრი სტუდენტებს კონსულტირებას უწევს კარიერული განვითარების ხელშეწყობისათვის. სტუდენტები რეგულარულად იღებენ საინფორმაციო იმეილებს დასაქმების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. თუმცა, სტუდენტებთან ინტერვიუში გამოიკვეთა, რომ დასაქმებას ძირითადად საკუთარი კავშირებით უზრუნველყოფენ და ნაკლებად იყენებენ კარიერული განვითარების ცენტრის რესურსს. ასევე, ისურვებდნენ, რომ დასაქმების შეთავაზებები უფრო მორგებული იყოს მათ სპეციალობაზე.

თსუ-ს ყველა სტუდენტს აქვს საუნივერსიტეტო ელექტრონული ფოსტა. სტუდენტებისთვის, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია, ასევე გავლილ სასწავლო კურსებში მიღებული შეფასებები განთავსებულია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ პლატფორმაზე.

ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტები, სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სასწავლო დაწესებულებასთან თანამშრომლობს. თანამშრომლობა მიზნად ისახავს პროფესორ-მასწავლებლების, სტუდენტების, კვლევითი მასალების, საგანმანათლებლო და განვითარების პროგრამების საერთაშორისო გაცვლაში ხელშეწყობას. სტუდენტებთან ინტერვიუსას, აღმოჩნდა, რომ უმეტესობა არ არის ინფორმირებული ან დაინტერესებული საერთაშორისო გაცვლითი პროგრამებთან/კონფერენციებთან დაკავშირებით. ასევე, გამოთქვეს სურვილი, რომ უნივერსიტეტში იყოს მეტი ექსტრაკურიკულური აქტივობები.

სასწავლო პროცესთან და გამოცდებთან დაკავშირებული ინფორმაცია, ასევე ლექტორის საკონტაქტო ინფორმაცია სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია, სტუდენტებს ახლო კომუნიკაცია აქვთ ლექტორებთან. უნივერსიტეტში არსებული საგამოცდო ცენტრი

უზრუნველყოფს გამოცდების პროცესის გამჭვირვალობას .

სტუდენტებთან გასაუბრების პროცესში, გამოიკვეთა დამატებითი ტრენინგების საჭიროების სასურველობა, კერძოდ გამოიკვეთა ტექნიკური უნარების დეფიციტი, საბიბლიოთეკო და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ლიტერატურის მოძიების კუთხით.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები;
- სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის სამსახურის დებულება;
- ინტერვიუს შედეგები

#### რეკომენდაციები:

##### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

ექსტრაკურსული აქტივობების მეტად გაუმჯობესება.

უფრო მეტად განვითარდეს მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობს სტუდენტების დამსაქმებლებთან ურთიერთობას და დასაქმების პროცესს.

სტუდენტებთან გასაუბრების პროცესში, გამოიკვეთა დამატებითი ტრენინგების საჭიროების სასურველობა, კერძოდ ტექნიკური უნარების დეფიციტი, საბიბლიოთეკო და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ლიტერატურის მოძიების კუთხით.

#### საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

#### მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

#### შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

#### 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

<b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b>
<b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b>
<b>რეკომენდაციები:</b>  წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
<b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b>  არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
<b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b>  ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b>
<b>შეფასება</b>  ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა  <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან  <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან  <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან  <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

**4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

#### 4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებენ ბიოლოგიის დარგის, მაღალი კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალები, მათ გააჩნიათ მრავალწლიანი პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე ქვეყნის გარეთ.

თსუ-ში მოქმედებს აკადემიური პერსონალისთვის სავალდებულო პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის რეგულაციები (<https://www.tsu.ge/ka/legalakad/39621>), აღნიშნული ცალსახად ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესის სრლყოფასა და მდგრადობას.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის ფუნქციები და დატვირთვა სრულადაა შესაბამისობაში საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, რომელიც რეგულირდება ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტში შემუშავებული შიდა რეგულაციებით.

აკადემიურ თანამდებობაზე პერსონალის არჩევა ხდება ღია კონკურსით, რაც რეგულირდება დადგენილებით №118/2014, 22 დეკემბერი, 2014, სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ.

აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მაღალი კვალიფიკაციის დამადასტურებელია მათ მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი, გამოქვეყნებული ადგილობრივ თუ საერთაშორისო რეიტინგულ ჟურნალებში, მონოგრაფიები. მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია ასევე სრულ შესაბამისობაშია პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელ მოთხოვნებთან.

აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სემესტრული დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, უზრუნველყოფს პროგრამით დასახული შედეგების მიღწევადობას.

ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 62 პედაგოგი. მათ შორის 50 აფილირებული აკადემიური და 12 მოწვეული (მათ შორის 2

მასწავლებელი 1 ემერიტუს პროფესორი), აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა, დამხმარე პერსონალის ჩართულობა უზრუნველყოფს, როგორც სასწავლო პროგრამის განხორციელებას, ასევე მათთვის მინიჭებული სხვა ფუნქციების შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი (50/12), პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რაოდენობა შესაბამისობაშია ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობის დაგეგმვის სარეკომენდაციო მეთოდოლოგიასთან (უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ბრძანება №05-03, 07.03.2018) და არის პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობის ადეკვატური, ლექტორებსა და სტუდენტებს შორის თანაფარდობა (62/456) უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამის ხელმძღვანელები წარმოადგენენ ბიოლოგიის დარგის წამყვან მეცნიერებს, პუბლიკაციების მაღალი ციტირების ინდექსით, მათ უდავოდ გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისთვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, უშუალოდ არიან ჩართულნი პროგრამის განხორციელებაში. აღსანიშნავია, რომ პროგრამის შესამუშავებლად მათ გაითვალისწინეს ევროპის წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილება.

უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის ხელმძღვანელების სიმრავლე - 8 პროფესორი, წარმოადგენს ერთგვარ ინოვაციურ მიდგომას უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებში, თუმცა ხელმძღვანელების სიმრავლემ შესაძლოა პროგრამის მართვა გააძნელოს.

პროგრამა უზრუნველყოფილია სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები უშუალოდაა ჩართული პროგრამის სწორად და ეფექტურად წარმართვის საქმიანობაში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამის ხელმძღვანელების პირადი ფაილები;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამაში ჩართული აკადემიური / მოწვეული პერსონალის პირადი ფაილები: CV, პუბლიკაციები, საკონფერენციო ნაშრომები, კონკურსის მასალები, შრომითი ხელ-შეკრულებები;
- გასაუბრება აკადემიურ / მოწვეულ პერსონალთან;
- გასაუბრება კურსდამთავრებულელებულელებთან;

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)



## შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების მექანიზმი. პერსონალის საქმიანობის სისტემატური მონიტორინგი, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა, წარმოადგენს უნივერსიტეტის ხარისხის განვითარების სამსახურის ერთ-ერთ უმთავრეს საქმიანობას, რასაც კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, კერძოდ დადგენილებების 2018 წლის 26 თებერვლის N 78/2018 და N 81/2018 საფუძველზე უნივერსიტეტის პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი პერსონალი ავსებს თვითშეფასების კითხვარს, რაც ხაზს უსვამს არსებულ ძლიერი და სუსტი მხარეებს, გამომდინარე იგეგმება რიგი ქმედებების არსებული სისუსტეების აღმოსაფხვრელად.

ასევე ყოველწლიურად მიმდინარებს უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალის ანგარიშების მომზადება წარდგენა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში განსახილველად.

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილია დიაგრამა # 3, რომელიც სტუდენტების გამოკითხვის საფუძველზე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კომპეტენციების შეფასების მაჩვენებელია. სტუდენტების ჩართულობა აღნიშნულ პროცესში მეტყველებს პედაგოგიური პერსონალის შეფასების ობიექტურობის მაღალ ხარისხზე.

უნივერსიტეტში შემუშავებულია განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, აღნიშნული სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს აკადემიური/მოწვეული სამეცნიერო-პედაგოგიური პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა, რაც გამოიხატება აკადემიური პერსონალის პროფესიონალიზმის ამაღლების მიზნით მონაწილეობის მიღებაში გაცვლით პროექტებში მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში ასევე, პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლების მიზნით ტარდება საჯარო ლექციები.

აღნიშნული ნათლად ჩანს აკადემიური პერსონალისთვის ჩატარებული ტრენინგების

ჩამონათვალში 2020 წლის თებერვალი-ივნისის თვეებში:

- სასწავლო პროცესის მართვის ბაზის გამოყენება დისტანციურ სწავლებაში;
- Moodle -ის გამოყენება დისტანციურ სწავლებაში (I და II ნაწილი);
- Zoom-ის გამოყენება დისტანციურ სწავლებაში;
- დიდი ზომის ფაილების (სალექციო მასალები, ლექციების აუდიო/ვიდეო ჩანაწერები) განთავსება სასწავლო პროცესის მართვის სისტემებში (lms, Moodle);
- Turnitin-ის გამოყენება სასწავლო პროცესში

აღსანიშნავია სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა უცხოელ კოლეგებთან ერთად, პერსონალს რომელიც ჩართულია წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობა აქვს მიღებული 45 -მდე ერთობლივ სამეცნიერო-კვლევითი პროექტის იმპლემენტაციის პროცესში სხვადასხვა ინსტიტუციების ჩართულობით.

უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები ბიოლოგიური, ბიოსამედიცინო და აგრარული მიმართულების ორგანიზაციებთან, რაც ცალსახად ხელს უწყობს როგორც განათლების პროცესის სრულყოფას ასევე, პედაგოგიური, სამეცნიერო-კვლევითი პერსონალის პროფესიულ ზრდას.

პროგრამას ყავს საუკეთესო, მაღალი პროფესიონალიზმის, გამოცდილების და კვალიფიკაციის სამეცნიერო, აკადემიური და მოწვეული პერსონალი. თუმცა მკაფიოდ იგრძნობა ახალგაზრდა კადრის დეფიციტი. პროგრამაზე არიან ახალგაზრდა, წარმატებული მკვლევარები და პედაგოგები, რომლებიც კვლავაც მოწვეული პედაგოგის ან ლაბორანტის სტატუსით სარგებლობენ. პროგრამის განგრძობით პერიოდში მდგრადობის უზრუნველყოფა კი მოითხოვს ახალგაზრდა აკადემიური კადრის არსებობას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საკმაოდ აქტიურად ფასდება პროფესორის თუ სხვა აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობა, რასაც ითვალისწინებენ არა მხოლოდ პროფესორად არჩევის კონკურსებზე, არამედ გამოიყენება ფინანსური წახალისების პრაქტიკაც. ეს შესანიშნავია და დასაფასებელია. თუმცა, არ არის გამოკვეთილი პროფესორების და სხვა აკადემიური პერსონალის აკადემიური (სახელმძღვანელოს დაწერა, სახელმძღვანელოს თარგმნა, ახალი სასწავლო კურსების დანერგვა, საკვალიფიკაციო კურსების, ტრენინგების, პროფესიული სკოლების მოწყობა, სტუდენტური კონფერენციების ორგანიზება და მხარდაჭერა, აკრედიტაციის პროცესში მონაწილეობა, საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა, სტუდენტების მომზადება კონფერენციებისთვის და სხვ.) და საჯარო აქტივობების (პოპულარული, საჯარო, ღია ლექციების წაკითხვა, სკოლის მოსწავლეების სპეც პროექტების მომზადება, აბიტურიენტებთან გაცნობითი შეხვედრები და დარგის პოპულარიზაცია და სხვ.) რაოდენობრივი (ქულებით) შეფასების მექანიზმები, რაც სტუდენტებისთვის გაცილებით

უფრო სასარგებლოა და რაც უკვე სოლიდურად ფასდება ამერიკისა და დასავლეთ ევროპის მოწინავე უნივერსიტეტებში.

ლექტორის მიერ გაწეული ისეთი აქტივობა, როგორცაა სახელმძღვანელოების (სალექციო კურსები, ამოცანებისა და სავარჯიშოების კრებულები, ლაბორატორიული პრაქტიკუმების კრებულები) წერა/თარგმნა/რედაქტირება, ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია საგანმანათლებლო პროცესების წარმატებით განხორციელებისთვის. სამეცნიერო პუბლიკაციებზე მუშაობასთან ერთდ, სასწავლო ლიტერატურის მომზადების საკითხს დიდი ყურადღება უნდა მიენიჭოს. კარგი სახელმძღვანელო, რომელიც მორგებულია სალექციო კურსებთან, დიდი კომფორტია სტუდენტისთვის და საგნის წარმატებით დაძლევის ერთგვარი გარანტია.

სასწავლო პროცესის ეფექტურობის გასაზრდელად და აკადემიური პროდუქტიულობის გასაძლიერებლად აუცილებელია, რომ პროფესორის თუ სხვა აკადემიური პერსონალის აკადემიური და საჯარო აქტივობების შესრულების მეტი წახალისება მოხდეს. ასეთ შემთხვევაში მათ მეტი სტიმული ექნებათ შექმნან სახელმძღვანელოები ქართულ ენაზე (რისი დიდი დეფიციტიც არსებობს); უნივერსიტეტმა როგორც რეგიონში არსებულმა მოწინავე სამეცნიერო-კვლევითი ტრადიციების ინსტიტუციამ, სასურველია მეტად იტვირთოს სხვა ინსტიტუციებთან უახლესი ცოდნის და სამეცნიერო გამოცდილების გაზიარების როლი, მოაწყოს საჯარო ლექციები სხვა ინსტიტუციებში და ზოგად საგანმანათლებლო სკოლებში; აკადემიურ კონკურსებზე დანერგონ ახალი სასწავლო (თეორიული თუ ლაბორატორიული) კურსები, პოპულარიზაცია გაუკეთონ დარგს, ორგანიზება გაუკეთონ ტრენინგებს და სხვ.

სასურველია, რომ აკადემიურ კონკურსებზე რაოდენობრივად გაიზომოს ისეთი აქტივობები ახალი სასწავლო კურსის შექმნა და დანერგვა.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი მონაცემები;
- სტატისტიკური მონაცემები პერსონალის შესახებ;
- ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები და ხელშეკრულებები;
- გასაუბრებები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;

#### **რეკომენდაციები:**

- შემუშავდეს მექანიზმები, რომლითაც მოხდება პროფესორის და სხვა აკადემიური

<p>პერსონალის აკადემიური და საჯარო აქტივობების შესრულების წახალისება და რაოდენობრივი (ქულებით) შეფასება.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ დიდი ყურადღება დაეთმოს და ქმედითი ნაბიჯები გადაიდგას პროგრამის განვითარებაში ჩართული პერსონალის გაახალგაზრდაებისთვის.</li> <li>▪</li> </ul>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪</li> </ul>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მაღალი კვალიფიკაციის და დიდი გამოცდილების პედაგოგიური კადრი</li> <li>○ ზოგიერთ საგნის ცალკეულ თემების წაკითხვაში უცხოელი პროფესორების მონაწილეობა</li> <li>○ ზოგიერთი პროფესორის აქტიური თანამშრომლობა საერთაშორისო აკადემიურ და სამეცნიერო მიმართულებებით უცხოეთის მოწინავე უნივერსიტეტებში</li> <li>○ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ აკადემიურ პერსონალისათვის იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში პუბლიკაციის გამოქვეყნების ხარჯების დაფინანსება და ამავე დროს, აკადემიურ პერსონალის ფინანსური წახალისება/ პუბლიკაციის გამოქვეყნებისთვის</li> <li>○ ადმინისტრაციის მიერ საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის ხარჯების დაფარვა.</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<b>4.3 მატერიალური რესურსი</b>
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური

აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის XI კორპუსის ბაზაზე არსებული ობიექტები საკმარისია ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თეორიული და პრაქტიკული საქმიანობის უზრუნველსაყოფად. პროგრამის განხორციელება წარმართება მორფოლოგიის, ცხოველთა ფიზიოლოგიის, ბიოქიმიის, უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგიის, გენეტიკის, იმუნოლოგიის, ბიომრავალფეროვნების და ბიოფიზიკის ლაბორატორიებში.

სხვადასხვა რაოდენობის მსმენელზე გათვლილი აუდიტორიები, სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები, რომლებიც ფუნქციონირებენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის XI კორპუსის ბაზაზე, არის სრულად აღჭურვილი ყველა აუცილებელი შესაძლებლობებით, ლაბორატორიული ტექნიკით, რომლის სრული ჩამონათვალი წარმოდგენილია პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში.

უნივერსიტეტის XI კორპუსის ინფრასტრუქტურა მოიცავს: ბიბლიოთეკას (რომელიც წარმოდგენილია რამდენიმე სამკითხველო სივრცით), კაფეტერიას, პარკინგს, საკონფერენციო აუდიტორიებს, ფუნქციონირებს ზოოლოგიის და გეოლოგიის მუზეუმები რომლებშიც წარმოდგენილია უნიკალური ექსპონატები, აღსანიშნავია უნიკალური ჰერბარიუმი რომელიშიც წარმოდგენილია XVIII საუკუნის უნიკალური ექსპონატები, იგეგმება ჰერბარიუმის დიგიტალიზაცია და საცავის რეკონსტრუქცია.

უახლესი სამეცნიერო-კვლევითი ლიტერატურა წარმოდგენილია ფართოდ, როგორც ბეჭდვითი, ასევე ელექტრონული რესურსებით. ხელმისაწვდომია ლიტერატურაზე დისტანციური წვდომა აკადემიური/მოწვეული პერსონალისთვის და სტუდენტებისთვის. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა მომხმარებელს სთავაზობს შემდეგ ელექტრონულ რესურსებს: Jstor, Ebsco, Cambridge University Journals. უნივერსიტეს აქვს წვდომა შემდეგ სამეცნიერო ბაზებთან: Google Scholar, Web of Science, Scopus, Science Direct.

- უნივერსიტეტში ასევე ფუნქციონირებს სწავლების ელექტრონული პორტალი “elearning” და პროგრამა „TURNITIN“.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ვიზიტი უნივერსიტეტში ინფრასტრუქტურის და აღჭურვილობის დათვალიერების მიზნით;
- ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმები და ხელშეკრულებები;
- გასაუბრებები აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალთან, ადმინისტრაციასთან;
- ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.
- 

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის**

**შემთხვევაში)**

**შეფასება**

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა**

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება უნივერსიტეტის ერთიან ბიუჯეტში ასახული შემოსავლების-გასავლების ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით, უნივერსიტეტის ხარჯვით ნაწილში ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტი გნიხილება ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტთან ერთობლიობაში.

აღსანიშნავია, რომ გარდა საუნივერსიტეტო ბიუჯეტიდან დაფინანსებული თემატიკებისა, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა წარმოდგენილია, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო საგრანტო პროექტებით, რომელთა დაფინანსების წილი ცალსახად ისახება უნივერსიტეტის ფინანსურ შემოსავლებში.

ინსტიტუცია წარმოადგენს ფინანსურად სტაბილურ და მდგრად ორგანიზაციას, რომელსაც შეუძლია თავისი ვალდებულებების სრულად, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულება. უნივერსიტეტის შემოსავლები არის სტაბილური და ადვილად პროგნოზირებადი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტი;
- ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტი;
- ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრება უნივერსიტეტის ფინანსური სამსახურების წარმომადგენლებთან და

პრორექტორთან;
<b>რეკომენდაციები:</b>
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p><b>შეფასება</b></p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

### 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

<b>5.1 შიდა ხარისხის შეფასება</b>
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და

იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ხარისხის შიდა უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს უნივერსიტეტში კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელსაც შემუშავებული აქვს ხარისხისში და უზრუნველყოფის სისტემა.

სისტემა წარმოდგენილია შემდეგი მიმართულებებით:

- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება, შემუშავებული და დამტკიცებული კრიტერიუმების/ინდიკატორების მიხედვით: უფლებამოსილი ორგანოების მიერ ;
- სილაბუსების შეფასება ხდება შემდეგი კრიტერიუმების/ინდიკატორების გათვალისწინებით: წარმოდგენილი ინფორმაციის სისრულე, მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა, სწავლისა და სწავლების მეთოდებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა, შეფასების მეთოდებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა, კრედიტების სწორად გამოყენება, სავალდებულო/ძირითადი და დამატებითი ლიტერატურისა და სხვა სასწავლო მასალების სიახლე და ადეკვატურობა და სხვ.;
- პროგრამის შემუშავების, განხორციელების შეფასების და განვითარების/მოდერნიზაციის პროცესში ჩართულია დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, მასწავლებლების, კურსდამთავრებულების, პოტენციური დამსაქმებლების, პროფესიული და არასამთავრობო ორგანიზაციების, უცხოელი სპეციალისტების) წარმომადგენლები. პროგრამის შეფასება ხორციელდება საგანგებოდ შემუშავებული და დამტკიცებული წესისა და ინდიკატორების შესაბამისად; კონკრეტული ინდიკატორების გამოყენებით;
- გარკვეული პერიოდულობით მიმდინარეობს სტუდენტების და პერსონალის, კურსდამთავრებულების, პოტენციური დამსაქმებლების და სხვ. დაინტერესებული მხარეების გამოკითხვების ორგანიზება და მათი კმაყოფილების კვლევა, სადაც ხდება უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების პედაგოგიური საქმიანობის, კურსების ეფექტიანობის შეფასება სტუდენტების მიერ, ასევე პერსონალის მომსახურების შეფასება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზიძ, საბიბლიოთეკო ფონდების გამოყენების მისაწვდომობა;
- უზრუნველყოფილია თვითშეფასების პროცესის ეფექტიანობისათვის/ თვითშეფასების ანგარიშის მომზადების საკითხებზე ჩართული მხარეების



კონსულტირება, ასევე კონსულტირება აკრედიტაციასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე და სხვ.

- უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის მიერ რეგულარულად ტარდება პროგრამების შიდა მონიტორინგი, რაც ხელს უწყობს პროგრამების განვითარება-დახვეწას. რეგულარულად ორგანიზდება პროგრამების ე. წ. „კოლეგიალური შეფასება“, რომლის დროსაც სხვა ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების წარმომადგენლები და ცენტრალური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები ახორციელებენ პროგრამების მონიტორინგს.
- ხარისხის ამაღლების და სტუდენტთა ჩართულობის გაზრდის მიზნით ფაკულტეტზე საპილოტე რეჟიმში ხორციელდება პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს გადაწყვეტილებათა მიღების და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის კუთხით სტუდენტების ჩართულობის გაზრდას. პროექტი ხორციელდება შოტლანდიური ორგანიზაციის „Sparqs (Student partnerships in quality Scotland)“ მხარდაჭერით.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2018 წლის 7 მარტის ბრძანება N04/03 „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სილაბუსების შეფასების სარეკომენდაციო ფორმის დამტკიცების შესახებ“;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2018 წლის 7 მარტის ბრძანება N02/03 სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების სარეკომენდაციო ფორმის დამტკიცების შესახებ“;
- უნივერსიტეტის აკადემიურისაბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის დადგენილება N67/2018 სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების ინდიკატორებისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ:
- [https://www.tsu.ge/ge/juridical/axad\\_council\\_resolutions/2018acad/672018//](https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2018acad/672018//)
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები; <https://www.tsu.ge/ka/quality-assurance;>
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2019 წლის 26 თებერვლის ბრძანება N01/03 სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების, პერსონალის, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის კითხვარების დამტკიცების შესახებ;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები.
- ინტერვიუერთა პასუხები

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p><b>შეფასება</b></p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<b>5.2 გარე ხარისხის შეფასება</b>
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>ფაკულტეტზე მუდმივად მიმდინარეობს მუშაობა აკადემიური და კვლევითი აქტივობების ხარისხის უზრუნველყოფის მიმართებით. ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით მოწმდება და ფასდება, როგორც აკადემიური პერსონალის ხოდნისა და კვალიფიკაციების შესაბამისობა წასაკით სასწავლო კურსებთან, ასევე მათ მიერ გამოცემული სამეცნიერო პუბლიკაციების ხარისხი.</p> <p>ჩამოყალიბებულია პროგრამის განვითარების კომიტეტი (რომლის ძირითადი ბირთვია კურსდამთავრებულები, ინდუსტრიის წარმომადგენლები და დეპარტამენტის აკადემიური პერსონალი), რომლის რეკომენდაციებით ხორციელდება პროგრამის განახლება ან ცვლილება/ აუცილებლობის შემთხვევაში.</p> <p>უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მართვის ორგანოები, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელები, პროგრამაში ჩართული</p>

პერსონალი და ფაკულტეტის სხვადასახვა სტრუქტურული ერთეული გარე შეფასების შედეგებს იყენებს პროგრამის განვითარების/გაუმჯობესების მიზნით.

ფაკულტეტზე მუდმივად მიმდინარეობს აქტიური მუშაობა გარე ხარისხის შეფასების გარკვეული მიმართულებებით: მაგალითად: არის პროფესურის ნაწილი, რომელიც ჩართულია ევროპულ, წამყვან უნივერსიტეტებში.

შესაბამისად, მათი ჩართულობით პერიოდულად მიმდინარეობს ცალკეული კურსების ფარგლებში უკუკავშირის და შეფასების მიღება ევროპელი ექსპერტებისგან, რის შემდეგაც ხდება მათი რეკომენდაციების გათვალისწინება და აუცილებლობის შემთხვევაში კურსების მოდერნიზება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია, კურსებისა და პროგრამის განვითარებისათვის ევროპელი ექსპერტებისგან მიღებულ უკუკავშირებს ქონდეს რეგულარული ხასიათი.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

სტუდენტებს გააჩნიათ მაღალ სტანდარტების დონეზე აგებულ კამპუსში ცხოვრების შესაძლებლობა, სადაც მიზერული თანხის გადახდით(მხოლოდ კომუნალური მომსახურებისათვის) აქვთ კარგი პირობები სწავლისა და განვითარებისათვის. ასეთი მიდგომა ხელს უწყობს სტუდენტების კმაყოფილების ზრდას და აძლევს რეგიონიდან ჩამოსულ სტუდენტებს კარგ შესაძლებლობებს, ისწავლონ და მიიღონ მაღალი სტანდარტების განათლება - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება**

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური,

სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**  
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმები, რომელთა განხორციელებაშიც ჩართულები არიან სტუდენტები, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი. სასწავლო პროგრამა ასახავს ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად ცვალებად და განვითარებად დარგს, რაც მოითხოვს მის პერიოდულ ცვალებადობას შესაბამისი დარგობრივი საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით.  
ყოველი სასწავლო წლის ბოლოს დარგობრივი საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშების ანალიზის საფუძველზე ხდება პროგრამის შემადგენელი სილაბუსების გადახედვა და აუცილებლობის შემთხვევაში, ცვლილებების დაგეგმვა/განხორციელება, რომელიც აისახება, როგორც შინაარსობრივ ცვლილებებში ასევე სასწავლო მასალის განახლებაში.  
სასწავლო წლის განმავლობაში დამსაქმებელთა შემოთავაზება/მოთხოვნების შესახებ მიმდინარეობს ინფორმაციის შეგროვება ანალიზი. მიღებული მასალის ანალიზის საფუძველზე კი გარკვეული ცვლილებების შეტანა.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება და ოქმი;
  - დასაქმების ბაზრის კვლევა;
  - ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დებულება.
  - უნივერსიტეტის ხარისხის დებულება
  - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2018 წლის 7 მარტის ბრძანება N04/03 „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სილაბუსების შეფასების სარეკომენდაციო ფორმის დამტკიცების შესახებ“;
  - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2018 წლის 7 მარტის ბრძანება N02/03 სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების სარეკომენდაციო ფორმის დამტკიცების შესახებ“;
  - უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის დადგენილება N67/2018 სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების ინდიკატორებისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ <https://tsu.ge/ka/legalakad/39612>
  - ინტერვიუები

<b>რეკომენდაციები:</b>
<b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b>
მემორანდუმების გამრავალფეროვნება და სხვადასხვა პროფილის დამსაქმებელთან ურთიერთობების გაუმჯობესება.
<b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b>
სტუდენტებისათვის შიდა საგრანტო პროექტების შეთავაზება, რაც სტუდენტების მოტივაციის ამაღლების საშუალებაა-კველვით პროექტებში ჩართვის მიმართებით.
<b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b>
<b>შეფასება</b>
<p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

### თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: ბიოლოგია, ბაკალავრიატი

დასკვნის გვერდების რაოდენობა:

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			


აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ბესარიონ ლასარეიშვილი



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ინგა დიასამიძე



ლევან ციციშვილი



ირმა ქურდაძე



მარიამ აბულაძე

